N 04/1029
29.12.2023

ბრძანება

1029-01-4-202312291128

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 9 მარტის N04/106 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 9 მარტის N04/106 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე გადაწყვეტილება, თანდართული სახით.
2. დადასტურდეს შპს „ფორსას“ (ს/ნ 405324108) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.
3. კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით შპს „ფორსას“ (ს/ნ 405324108) დაევალოს 1 (ერთი) თვის ვადაში აღადგინოს მომხმარებელთა დარღვეული უფლებები და შეუსაბამოს თავისი სავაჭრო პოლიტიკა კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.
4. შპს „ფორსას“ (ს/ნ 405324108) დაევალოს, ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედების თაობაზე სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. ეს ბრძანება, თანდართულ გადაწყვეტილებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. სააგენტოს გადაწყვეტილება მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის:თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა.
7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 9 მარტის N04/106 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე

2023

სარჩევი

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი 3

1.1 განმცხადებლის პოზიცია 3

1.2 მოვაჭრის პოზიცია 4

თავი 2. ნორმატიული რეგულირება 7

თავი 3. სამოტივაციო ნაწილი 12

3.1 უსამართლო სტანდარტული პირობა 12

3.2. აგრესიული კომერციული საქმიანობა 19

თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი 24

გადაწყვიტა: 24

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2023 წლის 20 მარტს წარმოდგენილი იქნა მოქალაქე N01/911 განცხადება შპს „ფორსას“ (ს/ნ 405324108) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

მოქალაქე N01/911 განცხადების საფუძველზე სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 13 აპრილის N04/194 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

1.1 განმცხადებლის პოზიცია

მოქალაქე განცხადების მიხედვით, მან სავაჭრო პლატფორმიდან www.aliExpress.com გამოიწერა რამდენიმე ნივთი და გადამზიდ კომპანიად მიუთითა შპს „ფორსა“ (ს/ნ 405324108) (შემდგომში - მოვაჭრე). მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკის მიხედვით, ამანათების შესახებ ისტორია შპს „ფორსას“ ვებ-გვერდზე მოხმარებლის ე.წ პირად ოთახში ფიქსირდება. ამავე გვერდზე განთავსებულია ჩამოსული და გამოგზავნილი ამანათების შესახებ ინფორმაციაც. მომხმარებლის განმარტებით, პირად ოთახში ჩამოსული ამანათების ველში განთავსებული იყო ის ამანათი, რომელიც მას არ შეუძენია პლატფორმიდან www.aliExpress.com. ამასთანავე, ეს უკანასკნელი თავდაპირველად არც გამოგზავნილი ამანათების ველში ფიქსირდებოდა. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს შპს „ფორსას“ პირადი ოთახის შეკვეთები და საბანკო ამონაწერი.

მომხმარებელმა მიმართა მოვაჭრეს ამ საკითხთან დაკავშირებით და მოითხოვა მათი მხრიდან პრობლემის აღმოფხვრა. საპასუხოდ მოვაჭრემ განუცხადა, რომ თუ სადავო ამანათის ჩინეთიდან საქართველოში ტრანსპორტირების ღირებულებას (552 ლარი და 24 თეთრი) არ გადაიხდიდა, მომხმარებელი ვერ გაიტანდა სხვა ამანათებსაც, რომელიც ჩამოსული იყო საქართველოში.

განმცხადებლის პოზიციით, შპს „ფორსას“ ქმედებები არღვევს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

განცხადებას მტკიცებულებების სახით თან ერთვის, პირადი ოთახის ეკრანის ანაბეჭდი (ე.წ screen shot), სადაც ჩანს, რომ სადავო ამანათი ასახულია მის პირად ოთახში, აღნიშნული ამანათის წონა შეადგენს 16.64 კგ-

ს, ხოლო ტრანსპორტირების ღირებულება - 552.24 ლარს. მტკიცებულებების სახით, ასევე, წარმოდგენილია მომხმარებელსა და გამყიდველს შორის არსებული მიმოწერა, სადაც ჩანს მომხმარებლის მიერ ავტონაწილების შეძენის ფაქტი და შესაბამისი თრექინგ ნომრები. აღნიშნულ ეკრანის ანაბეჭდებში მოცემული არ არის სადავო ამანათის თრექინგ კოდი.

N01/911 განცხადებას, ასევე, თან ერთვის [redacted] და შპს „ფორსას“ თანამშრომელს შორის მიმოწერა, რომლის თანახმად [redacted] ატყობინებს, რომ მის პირად ოთახში შეცდომით არის ასახული ამანათი თრექინგ კოდით 773205819793664, ავთანდილ გოგიას განმარტებით მას 16 კილოგრამიანი არაფერი გამოუწერია და აშკარად სხვისი ამანათია ასახული. აღნიშნულზე მოვაჭრის თანამშრომელი პასუხობს, რომ გადასცემს შესაბამის პირს და ამანათს გადაიტანენ მომხმარებლის ოთახიდან. მოგვიანებით, იგივე თანამშრომელი ატყობინებს, რომ ამანათი გადაიტანეს მისი ოთახიდან და როდესაც ამანათი ჩამოვა, თუ მასზე აღბეჭდილი ყველა ინფორმაცია მომხმარებლის იქნება, ამ საკითხის განხილვა ისევ მოუწევს მომხმარებელთან. აღნიშნულზე ავთანდილ გოგიამ უპასუხა, რომ იცის, რაც გამოიწერა და ამიტომ განაცხადა პრეტენზია.

[redacted] 2023 წლის 31 მარტის N01/1064 წერილით წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია, კერძოდ, ვიდეოფაილი, სადაც ასახულია, რომ ამანათი თრექინგ კოდით 773205819793664 არ იძებნება შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე (WWW.RS.GE). აღნიშნულით [redacted] განმარტავს, რომ მას ამანათი არ დაუდეკლარირებია.

1.2 მოვაჭრის პოზიცია

სააგენტოს 2023 წლის 23 მარტის №02/786 წერილით, მოვაჭრეს ეცნობა განმცხადებლის მოთხოვნის თაობაზე და განესაზღვრა 5 სამუშაო დღე განცხადებაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პოზიციის წარმოსადგენად. ასევე, ამავე ვადაში დაევალა სააგენტოსთვის წარმოედგინა სავაჭრო პოლიტიკა, მათ შორის, მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება) სრულად.

სააგენტოს 2023 წლის 23 მარტის №02/786 წერილის პასუხად, მოვაჭრემ სააგენტოს 2023 წლის 28 მარტის №01/1015 წერილით წარუდგინა პოზიცია განცხადებასთან დაკავშირებით. მოვაჭრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ავთანდილ გოგია შპს „ფორსას“ მომხმარებელია. მოვაჭრის განმარტებით, [redacted] ჩამოუტანეს ის ამანათი, რომელიც მათ ჩინეთის საწყობში მომხმარებლის სახელზე მივიდა.

№01/1015 წერილს მტკიცებულების სახით თან ერთვის მომსახურების ხელშეკრულება, რომლიტაც რეგულირდება მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის ურთიერთობა (შემდგომში - ხელშეკრულება) და ფოტომასალა, რომელზეც ასახულია სადავო ამანათი და მასზე დატანილი ინფორმაცია: მომხმარებლის სახელი და გვარი - [redacted] და მისი პირადი ოთახის ნომერი TBS43039. ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, სააგენტომ მოვაჭრისგან 2023 წლის 19 აპრილის N02/1062 წერილით, გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია, რომლის საპასუხოდ, მოვაჭრემ, 2023 წლის 27 აპრილის N01/1376 წერილით, სააგენტოს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია მომხმარებლის განცხადებასთან დაკავშირებით. მოვაჭრის განმარტებით, ამანათების ასახვა სისტემაში რეგისტრაციის დროს მინიჭებული ნომრის შესაბამისად ყველა მომხმარებლისთვის ინდივიდუალურად ხდება. მომხმარებელ ავთანდილ გოგიას შემთხვევაშიც ანალოგიურად მოხდა, მას სადავო ამანათი პირად ოთახში აუსახეს მისი საწყობში მიღების შემდგომ, მისი სახელის, გვარის და უნიკალური კოდის შესაბამისად. ამანათის პირად ოთახში ასახვის შემდგომ მომხმარებელმა განაცხადა, რომ ამანათი მას არ ეკუთვნოდა და მოვაჭრეს სთხოვა მისი ოთახიდან ამოღება. მოვაჭრის განმარტებით, მომხმარებლის თხოვნა დაკმაყოფილდა და აღნიშნული ამანათი დროებით საქართველოში ჩამოსვლამდე გადატანილ იქნა გაურკვეველი ამანათების სიაში. როგორც მოვაჭრე აღნიშნავს ტვირთის ჩამოსვლის შემდგომ, დაათვალიერა ამანათი და გამომდინარე იქიდან, რომ მასზე დატანილი იყო [redacted] პირადი მონაცემები, კერძოდ მისი სახელი, გვარი, პირადი ოთახის ნომერი, ამანათი მიიჩნიეს ავთანდილ გოგიას საკუთრებად და ასახეს მომხმარებლის პირად ოთახში.

2023 წლის 5 მაისის N02/1233 წერილით, მოვაჭრეს ეთხოვა წარმოედგინა შემდეგი ინფორმაცია შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად:

- როგორ აისახა [redacted] პირად ოთახში, ჩამოსულ ამანათებში, ამანათი თრექინგ კოდით 773205819793664, მაშინ როდესაც იგი ასახული არ იყო გამოგზავნილ ამანათებში;
- შპს „ფორსას“ პრაქტიკაში რამდენად ხშირია შემთხვევები, როდესაც ამანათის ე.წ. თრექინგ კოდი ასახული არ არის მომხმარებლის პირად ოთახში, თუმცა ასახულია ჩამოსულ ამანათებში;
- შპს „ფორსას“ სავაჭრო პოლიტიკის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი არ გაიტანს კონკრეტულ ამანათს, ეკრძალება თუ არა მის სახელზე ჩამოსული სხვა ამანათების გატანა.

აღნიშნული წერილის პასუხად მოვაჭრემ 2023 წლის 15 ივნისის N01/2001 წერილით განმარტა, რომ აღნიშნულ წერილს თან ერთვის დოკუმენტი, რომელსაც მას აწვდიან ჩინეთის საწყობიდან (შესაბამისად დოკუმენტში არსებული მონაცემები

მითითებულია ჩინური საწყობის მიერ). მოვაჭრის განმარტებით, აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული მონაცემების (სახელი - ., გვარი - პირადი ოთახის ნომერი - TBS43039) მიხედვით ასახავენ მომხმარებლის პირად ოთახში ამანათს. N01/2001 წერილით მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ამანათის ფოტო სურათი, საიდანაც ირკვევა, რომ ამანათზე დატანილია მომხმარებლის მონაცემები: სახელი - AVTANDIL, გვარი - GOGIA, პირადი ოთახის ნომერი - TBS43039. ამანათზე, ასევე, იკითხება შიდა გადამზიდი ჩინური ფოსტის დასახელება - STO express.

მოვაჭრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სწორედ ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ასახეს ამანათი მის პირად ოთახში, რის შემდეგაც მომხმარებელმა განაცხადა, რომ ამანათი მას არ ეკუთვნოდა. მოვაჭრემ განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე სადავო ამანათი მის საქართველოში ჩამოტანამდე გადაიტანა გაურკვეველი ამანათების ნუსხაში. ამანათის საქართველოში ჩამოტანისთანავე დადგინდა, რომ იგი ეკუთვნოდა ავთანდილ გოგიას, ვინაიდან მასზე მითითებული იყო მისი პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, ოთახის ნომერი), შესაბამისად მომხმარებელს ეთხოვა ამანათის ტრანსპორტირების ღირებულების გადახდა.

მოვაჭრე, ასევე, განმარტავს, რომ იგი იტოვებს უფლებას, რომ მომხმარებელს, რომელსაც მათ წინაშე ერიცხება დავალიანება (გასატანი აქვს ნივთები) არ გადასცეს მისი კუთვნილი სხვა ამანათები.

სააგენტომ, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტების მიზნით, მოვაჭრეს 2023 წლის 9 აგვისტოს N02/2152 წერილით მოსთხოვა დაეზუსტებინა როდის (ზუსტი დრო და თარიღი) აისახა ამანათი თრექინგ კოდით 773205819793664 განმცხადებლის პირად ოთახში, ამანათის ჩინეთიდან გამოგზავნამდე თუ მისი საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ. სააგენტომ, ასევე, გამოითხოვა მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა სადავო ამანათის კუთვნილების ფაქტს (გარდა იმ მტკიცებულებისა, რომ ამანათის შეფუთვაზე (რომელიც შეფუთული იყო გამყიდველის მიერ) დატანილი იყო განმცხადებლის სახელი, გვარი და მისი ოთახის ნომერი). აღნიშნულის პასუხად, მოვაჭრემ 2023 წლის 24 აგვისტოს N01/2338 წერილით განმარტა, რომ ამანათის მომხმარებლის პირად ოთახში ასახვა ხდება მისი პირადი მონაცემების საფუძველზე, რომელიც გამყიდველის მიერ დატანილია შეფუთვაზე. მოვაჭრემ, წერილი, ასევე, სააგენტოს მიუთითა მის მიერ წინა პერიოდში წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

სააგენტომ, 2023 წლის 27 სექტემბერს N02/2554 წერილით, მოვაჭრისგან კვლავ გამოითხოვა ინფორმაცია, თუ როდის აცნობა ავთანდილ გოგიას იმის შესახებ, რომ მის სახელზე შპს „ფორსას“ ჩინეთში მდებარე ოფისში მისული იყო ამანათი თრექინგ

კოდით 773205819793664 და მომხმარებელმა დაადეკლარირა თუ არა იგი. ასევე, როდის და რა ფორმით შეატყობინა მას ავთანდილ გოგიამ, რომ ამანათი თრექინგ კოდით 773205819793664 არ იყო მისი. ასევე, ხომ არ ფლობდა ინფორმაციას იმ გამყიდველის შესახებ, ვისგანაც შეიძინა სადავო ამანათი. აღნიშნულთან დაკავშირებით მოვაჭრეს პასუხი არ წარმოუდგენია. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 3 ნოემბრის N02/2979 სააგენტომ მოვაჭრისგან გამოითხოვა ინფორმაცია, იმის დასადგენად, ხელშეკრულების მიხედვით, რა მოქმედებას ახორციელებს მომხმარებელი საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეკრულების 1.7 პუნქტით გათვალიწინებული დავალების გასაცემად. აღსანიშნავია, რომ მოვაჭრეს აღნიშნულ წერილზე პასუხი არ წარმოუდგენია.

თავი 2. ნორმატიული რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ხაზს უსვამს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა დაცვის თავიანთ სისტემებს შორის თავსებადობის კუთხით თანამშრომლობის მნიშვნელობას.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა.

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობა არის მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის დადგენილი, წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობა, რომლის გაცნობის შესაძლებლობა მომხმარებელს ჰქონდა.

კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი არსებობისა, ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და იწვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების გაუმართლებელ დისბალანსს მომხმარებლის საზიანოდ, მათ შორის, მისი ბუნდოვანების გამო. მხოლოდ ხელშეკრულების საგნის რაობა ან მისი საპასუხო

შესრულებასთან შესაბამისობა არ მიიჩნევა შეუსაბამობად. მეორე პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობის უსამართლობის შეფასებისას გაითვალისწინება ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების დადების დროს არსებული გარემოებები, რომლებმაც ხელშეკრულებაში ამ პირობის არსებობა განაპირობა, და ხელშეკრულების სხვა პირობები. აღნიშნული პირობის უსამართლობის შეფასებისას არ გაითვალისწინება არც ხელშეკრულების ძირითადი საგნის არსი და არც ფასისა და ანაზღაურების მისაწოდებელ საქონელთან ან მომსახურებასთან შესაბამისობა.

კანონის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ უსამართლო სტანდარტული პირობა ხელშეკრულების არსებითი პირობა არ არის და სავარაუდოა, რომ ხელშეკრულება მისი ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა.

კანონის 24-ე მუხლით მუხლით დარეგულირებულია უსამართლო კომერციული საქმიანობის აკრძალვის საკითხი. აღნიშნული მუხლის თანახმად:

1. უსამართლო კომერციული საქმიანობა აკრძალულია.

2. უსამართლოა კომერციული საქმიანობა, რომელიც კეთილსინდისიერების მოთხოვნებს ეწინააღმდეგება და არსებითად უარყოფითად ცვლის ან შესაძლოა შეცვალოს საშუალო მომხმარებლის ეკონომიკური ქცევა იმ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით, რომელიც მას მიაწოდეს ან მისთვის არის განკუთვნილი, ან ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს არსებითი უარყოფითი გავლენა მომხმარებელთა ჯგუფის საშუალო წევრის ეკონომიკურ ქცევაზე, როდესაც კომერციული საქმიანობის ადრესატი მომხმარებელთა განსაზღვრული ჯგუფია.

3. ისეთი კომერციული საქმიანობის უსამართლოდ მიჩნევისთვის, რომელმაც შესაძლოა არსებითად უარყოფითად შეცვალოს მომხმარებელთა მხოლოდ იმ ჯგუფის ეკონომიკური ქცევა, რომელიც საკუთარი გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობის ან/და ასაკის გამო განსაკუთრებით მოწყვლადია, გაითვალისწინება მომხმარებელთა ჯგუფის საშუალო წევრის ეკონომიკური ქცევა. კომერციული საქმიანობა უსამართლოდ არ მიიჩნევა, თუ რეკლამაში მოცემული ინფორმაცია გაზვიადებულია ან პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული.

4. უსამართლო კომერციულ საქმიანობად მიიჩნევა შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობა ან აგრესიული კომერციული საქმიანობა.

ხოლო, კანონის 26-ე მუხლი ითვალიწინებს უმოქმედობით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობის რეგულაციებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად შეცდომაში შემყვანია მოვაჭრის უმოქმედობით გამოხატული

კომერციული საქმიანობა, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა ფაქტობრივი გარემოებისა და საკომუნიკაციო საშუალების მახასიათებლების შეზღუდულობის გათვალისწინებით, ინფორმაციის ფაქტობრივი შინაარსი არ შეიცავს არსებით ინფორმაციას, რომელიც საშუალო მომხმარებელს ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად სჭირდება, რის შედეგადაც მომხმარებელმა დადო ან შესაძლოა დადოს გარიგება, რომელსაც ამ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში არ დადებდა. ამ მუხლის მე-4 პუნქტი კი ითვალიწინებს არსებითი ინფორმაციის ჩამონათვალს, რომლის მიხედვით საქონლის ან მომსახურების შეძენის შეთავაზების შემთხვევაში არსებით ინფორმაციად მიიჩნევა შემდეგი ინფორმაცია (თუ იგი ისედაც აშკარად არ გამომდინარეობს მისი შინაარსიდან):

ა) საქონლის ან მომსახურების არსებითი მახასიათებლების შესახებ, საქონლის ან მომსახურების და ინფორმაციის მატარებლის თავისებურებების გათვალისწინებით;

ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების), ფაქტობრივი მისამართისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების, აგრეთვე მოვაჭრის წარმომადგენლის სახელის (სახელწოდების), ფაქტობრივი მისამართისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ;

გ) საქონლის ან მომსახურების სრული ფასის შესახებ, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით; თუ, საქონლის ან მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, მისი ძირითადი ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია – ძირითადი ფასის გამოთვლის წესის თაობაზე; თუ დამატებითი ხარჯების წინასწარ გაანგარიშება შეუძლებელია – ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დამატებითი ხარჯების გაწევის ვალდებულება წარმოიშობა;

დ) გადახდის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ, აგრეთვე მოვაჭრის მიერ მომხმარებლის საჩივრის განხილვის წესის თაობაზე;

ე) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ.

საერთაშორისო კანონმდებლობა:

ევროპარლამენტისა და საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის დირექტივა 93/13/EEC სამომხმარებლოს ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ (შემდგომში - დირექტივა) მიზნად ისახავს გამყიდველსა ან მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების უსამართლო პირობებთან დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული

დებულებების დაახლოებას. ასევე, მისი მიზანია ხელი შეუწყოს ევროკავშირის შიდა ბაზრის განვითარებას მომხმარებელთა იმ სამართლებრივი და ეკონომიკური რისკებისგან დაცვის გზით, რომელიც შემთავაზებელმა, როგორც უკეთ ინფორმირებულმა და უფრო ძლიერმა ბაზრის მოთამაშემ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით ხელშეკრულების უფრო „სუსტ მხარესთან“ შეიძლება გადაამისამართოს.[1]

დირექტივის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ინდივიდუალურად არ არის შეთანხმებული, ითვლება უსამართლოდ იმ შემთხვევაში, თუ, კეთილსინდისიერების მოთხოვნის საპირისპიროდ, ის, მომხმარებლის საზიანოდ, იწვევს მნიშვნელოვან შეუსაბამობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებში.

დირექტივის მე-3 მუხლითა და დანართით განსაზღვრული იმ პირობათა შინაარსი, რომლებიც შესაძლოა უსამართლოდ იქნეს მიჩნეული.

დირექტივის მე-5 მუხლის თანახმად იმ ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებშიც მომხმარებლისთვის შეთავაზებული ყველა ან ცალკეული პირობა არის წერილობითი ფორმით, ამგვარი პირობები ყოველთვის უნდა ჩამოყალიბდეს მარტივი და გასაგები ენით. იმ შემთხვევაში, თუ პირობის შინაარსთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი, უპირატესობა ენიჭება მომხმარებლისთვის ყველაზე ხელსაყრელ განმარტებას. განმარტებასთან დაკავშირებული ეს წესი არ გამოიყენება მე-7(2) მუხლით განსაზღვრულ პროცედურებთან მიმართებაში.

უსამართლო კომერციული საქმიანობის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC (UCPD) დირექტივის მე-7 მუხლის მიხედვით კომერციული პრაქტიკა, ასევე, მიიჩნევა შეცდომაში შემყვანად, თუ, მის ფაქტობრივ კონტექსტში, ყველა მისი მახასიათებლისა და გარემოების და საკომუნიკაციო საშუალებების შეზღუდვების გათვალისწინებით, ის არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც საშუალო მომხმარებელს სჭირდება, კონტექსტიდან გამომდინარე, რათა შესყიდვის შესახებ მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება და, შესაბამისად, ის იწვევს ან სავარაუდოდ, გამოიწვევს საშუალო მომხმარებლის მიერ შესყიდვის შესახებ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელსაც ის სხვა შემთხვევაში არ მიიღებდა.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შესყიდვის განხორციელების შეთავაზების შემთხვევაში მნიშვნელოვნად მიიჩნევა შემდეგი ინფორმაცია, თუ ის უკვე აშკარა არ არის კონტექსტიდან:

[1] ევროკავშირის კერძოს სამართალი, გადაწყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, 2018 წელი, თბილისი, გვ: 40

1. პროდუქტის მთავარი მახასიათებლები, კომუნიკაციის საშუალებისა და პროდუქტისთვის შესაფერისი მოცულობით;

2. მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი და ვინაობა, როგორიცაა მისი სავაჭრო დასახელება და, საჭიროების შემთხვევაში, იმ მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი ან ვინაობა, რომლის სახელითაც ის მოქმედებს;

3. ფასი, გადასახადების ჩათვლით, ან თუ პროდუქტის ბუნება არ იძლევა ფასის წინასწარ გამოთვლის საშუალებას, ფასის გამოთვლის მეთოდი, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ტრანსპორტირებასთან, მიწოდებასთან ან საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ხარჯი, ან თუ ამ ხარჯების გამოთვლა წინასწარ შეუძლებელია, მითითება, რომ დამატებითი ხარჯები შეიძლება დასაფარი გახდეს;

4. გადახდის, მიწოდებისა და შესრულების წესი და საჩივრების მართვის პოლიტიკა, თუ ისინი პროფესიული გულმოდგინების მოთხოვნებს გადაუხვევს;

5. ისეთი პროდუქციისა და გარიგებების შემთხვევაში, რომლებზეც ვრცელდება გარიგებიდან გასვლის ან გაუქმების უფლება, ამგვარი უფლების არსებობა.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილება:

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებს სააგენტო.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო შეისწავლის მომხმარებლის კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა.

საქმის შესწავლის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება.

„საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - პროცედურა) მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს

საქმის შესწავლას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა.

თავი 3. სამოტივაციო ნაწილი

3.1 უსამართლო სტანდარტული პირობა

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობა არის მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის დადგენილი, წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობა, რომლის გაცნობის შესაძლებლობა მომხმარებელს ჰქონდა. კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი არსებობისა, ბათილია, თუ იგი ***ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და იწვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების გაუმართლებელ დისბალანსს მომხმარებლის საზიანოდ,*** მათ შორის, მისი ბუნდოვანების გამო. მხოლოდ ხელშეკრულების საგნის რაობა ან მისი საპასუხო შესრულებასთან შესაბამისობა არ მიიჩნევა შეუსაბამობად.

უსამართლო სტანდარტული პირობების შესახებ ევროკავშირის 93/13/EEC დირექტივის, რომელშიც დამატებები შევიდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 25 ოქტომბრის 2011/83 EU დირექტივით (EUCTD), მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ინდივიდუალურად არ არის შეთანხმებული, ითვლება უსამართლოდ იმ შემთხვევაში, თუ, კეთილსინდისიერების მოთხოვნის საპირისპიროდ, ის, მომხმარებლის საზიანოდ, იწვევს მნიშვნელოვან შეუსაბამობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებში.

93/13/EEC დირექტივა, მომხმარებელთა დასაცავად ითვალისწინებს სამი ძირითად მექანიზმს: 1) როდესაც პირობა ცალსახად უსამართლო არაა, თუმცა ორაზროვანია/ბუნდოვანია ან/და მისი შინაარსი საეჭვოა, ასეთი პირობა ყოველთვის მომხმარებელთა სასარგებლოდ უნდა განიმარტოს;[2] 2) უსამართლო სტანდარტული პირობა უპირობოდ ბათილია, იგი დადების მომენტიდან, მომხმარებლისთვის სავალდებულოდ არ ითვლება, თუმცა აღნიშნული არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მომხმარებელი პირობის ბათილობას არ ითხოვს[3].

[2] 93/13/EEC დირექტივის მე-5 მუხლი
[3] 93/13/EEC დირექტივის მე-6 მუხლი

აღნიშნული მექანიზმი განმტკიცებულია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებითაც **VB Pénzügyi Lízing Zrt.** V **Ferenc Schneider**[4] და 3) მომხმარებელს, რომელიც თავს უსამართლო პირობის მსხვერპლად გრძნობს, უფლება აქვს, უსამართლო პირობებისგან დაცვის ეფექტური სამართლებრივი მექანიზმით ისარგებლოს.

სანამ ხელშეკრულების განსახილველი პირობის სამართლიანობის შეფასებაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია დადგინდეს სახეზე გვაქვს თუ არა სტანდარტული პირობები. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები განსაზღვრულია, რათა მოხდეს მათი ხელშეკრულებაში ინტერვენცია და მხარეთა, სახელშეკრულებო თვითბოჭვის განხორციელება.[5] კანონის მიხედვით, სტანდარტული პირობები *წინასწარ ჩამოყალიბებული და მისი მრავალჯერადად გამოყენებისთვის გამიზნული უნდა იყოს.* „წინასწარ ჩამოყალიბებული“ გულისხმობს იმას, რომ სტანდარტული პირობების მიმღები არ მონაწილეობს ხელშეკრულების ამ ნაწილის შექმნაში, არამედ ის უბრალოდ თანხმობას აცხადებს მასზე.[6]

აღსანიშნავია, რომ მოვაჭრის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები წინასწარ არის ჩამოყალიბებული. მას თითოეული მომხმარებელი და ცალკე მოვაჭრე ერთად არ აყალიბებენ. ისინი მოვაჭრის მიერ არის განსაზღვრული და მომხმარებელთან შეთანხმებას არ ექვემდებარება. ამასთანავე, აღნიშნული ხელშეკრულებით და მასში მოცემული პირობებით, მოვაჭრე მიზნად ისახავს ისინი მრავალჯერადად, თითოეული მომხმარებლისთვის იყოს გამოყენებული. მოვაჭრის მიერ ჩამოყალიბებული პირობები მათი შინაარსის და სტრუქტურის გათვალიწინებით იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მრავალჯერადად იქნება გამოყენებული შპს „ფორსას“ მიერ. გამომდინარე აქედან, მოვაჭრის ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის ხელშეკრულებაში მოცემული პირობები სტანდარტული პირობების კანონით გათვალისწინებულ ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებენ. შესაბამისად, ისინი მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.

კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის დისპოზიციიდან გამომდინარე ხელშეკრულების პირობის უსამართლოდ მიჩნევისთვის 1. იგი უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და 2. უნდა იწვევდეს მნიშვნელოვან ეკონომიკურ დისბალანსს მომხმარებლის საზიანოდ.

---

[4] CJEU, case, Case C-137/08. VB Pénzügyi Lízing Zrt. V Ferenc Schneider, პარ.49

[5] ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძველში და მათი სისტემატიკა, სამაგისტრო ნაშრომი, გიორგი ბოკუჩავა, 2021 წელი, თბილისი, გვ: 13

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ზემოაღნიშნული ორი პრინციპის ურთიერთკავშირზე არ უმსჯელია, ნორმის დისპოზიციიდან ირკვევა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში კეთილსინდისიერების პრინციპის არ არსებობა დაკავშირებულია მხარეთა იმ უფლებებითა და მოვალეობებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ეკონომიკურ დისბალანსზე, რომელიც დადგენილია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით.

კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნები დაკავშირებულია კითხვასთან მოვაჭრე ეპყრობა თუ არა მომხმარებელს სამართლიანად და თანასწორად და მხედველობაში იღებს თუ არა ლეგიტიმურ ინტერესს.[7] ***Banco Primus*** *და* ***Andriciuc*** საქმებზე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ მიუთითა, რომ სტანდარტული პირობის სამართლიანობის შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, მოვაჭრეს შეეძლო თუ არა გონივრულად ევარაუდა იმის თაობაზე, რომ მომხმარებელი დათანხმდებოდა განსახილველ პირობას ინდივიდუალური შეთანხმების დროსაც.[8]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით „კეთილსინდისიერება გულსიხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილისინდისიერების საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილისინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივსადები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა.[9] კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება მაშინ, როდესაც მხარეთ შორის შეთანხმებული გარიგება შესაძლოა ფორმალურად გამართული ჩანდეს, მაგრამ მისი შინაარსი იმდენად კაბალურია, რომ შეუძლებელია მას სამართლიანი ეწოდოს. [10]

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ***Mohamed Aziz***[11]-ის საქმეში განმარტა, რომ არის თუ არა სახეზე მომხმარებლისთვის საზიანოდ უფლება-მოვალეობათა „მნიშვნელოვანი უთანასწორობა“, უნდა შეფასდეს შიდა კანონმდებლობის იმ ნორმათა ანალიზის ფონზე, რომელსაც მხარეთა ურთიერთობა დაექვემდებარებოდა

---

[7] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/83/EU დირექტივის განმარტების შესახებ ევროპარლამენტისა და კომისიის ევროკომიის სახელმძღვანელო დოკუმეტი. გვ. 29.

[8] Case C-421/14 Banco Primus, paragraph 60. See also Case C-186/16 Andriciuc, პარ: 57

[9] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 20 მაისის განჩინება სამოქალაქო საქმეზე Nას-1185-2020

[10] "...im gegebenen Falle also nur die form, nicht das wesen des rechtes hätte." Dernburg, Pandekten, Band I, 1: Allgemeiner Theil, 1900 § 138, 320. მითითებულია კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, გვ. 84

[11] ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება, C-415/11.

სადავო პირობის არარსებობის შემთხვევაში. ამასთანავე უნდა შეფასდეს მომხმარებლის სამართლებრივი პოზიციები და ის სამართლებრივი საშუალებები, რომელიც მას შიდა კანონმდებლობით ეძლევა არასამართლიანი პირობებისგან თავის დასაცავად. ამასთანავე, იმის შესაფასებლად არის თუ არა უთანასწორობა „კეთილსინდისიერების მოთხოვნათა საწინააღმდეგო".

როგორც ***Ottília Lovasné Tóth-ის*** საქმეზე განიმარტა, ზემოაღნიშნული მსჯელობა ადასტურებს, რომ 93/13EEC დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის კეთილსინდისიერების ცნება არის ობიექტური ცნება, რომელიც მისი შინაარსის გათვალისწინებით დაკავშირებულია იმასთან შეესაბამება თუ არა სტანდარტული პირობა სამართლიან და თანასწორ საბაზრო ქცევას, რომლის დროსაც გათვალიწინებულია მომხმარებლის ლეგიტიმური ინტერესი. აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის არსებობა მჭიდროდ უკავშირდება მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების ეკონომიკურ დისბალანსს.[12]

მნიშვნელოვანი დისბალანსის შეფასება მოითხოვს შემოწმდეს როგორ გავლენას ახდენს ხელშეკრულების პირობა მხარეთა უფლება-მოვალეობებზე.

1993/13/EC დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს შორის „მნიშვნელოვან დისბალანსზე" (significant imbalance), რაც იმას ნიშნავს, რომ პირობის შეფასებისას მცირე დისბალანსი მხედველობაში არ მიიღება. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ***Banco Primus-ის*** საქმეში იმსჯელა, რომ იმის დასადგენად, იწვევს თუ არა პირობა „მნიშვნელოვან დისბალანსს" უნდა შეფასდეს მომხმარებლის სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, აყენებს თუ არა კონკრეტული პირობა მომხმარებელს არახელსაყრელ სამართლებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობაში, მომხმარებლისთვის დამდგარი ფინანსური დანაკარგი და სხვა.[13]

განსახილველ შემთხვევაში შესაფასებელია შპს „ფორსას" სავაჭრო პოლიტიკის - საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეკრულების 7.7.2. პუნქტით გათვალიწინებული სტანდარტული პირობა, რომლის დროსაც კომპანია უფლებამოსილია არ გადასცეს მომხმარებელს ამანათი თუ მომხმარებელმა გადაიხადა ამანათის ღირებულება, მაგრამ მის სახელზე მიღებულია სხვა ამანათი, რომლის ღირებულებაც მომხმარებელს არ გადაუხდია. ამ შემთხვევაში, ამანათის მისაღებად მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს ყველა იმ ამანათის ღირებულება, რომელიც ჩამოტანილია საქართველოში.

[12] Case C-34/18 Ottília Lovasné Tóth, 21 March 2019, paragraphs 56-62.
[13] CJEU, C-421/14, Banco Primus, პარ. 59

განსახილველ შემთხვევაში, მომხმარებელმა მოვაჭრის მომსახურების გამოყენებით ჩინეთში შეუკვეთა რამდენიმე ამანათი, რომელთაგან ყველა ჩამოსულია საქართველოში და ყველას ტრანსპორტირების ღირებულება გადახდილია მომხმარებლის მიერ. თუმცა, განმცხადებლის სახელზე, ასევე, ჩამოსულია ამანათი, რომელსაც მოვაჭრე მიიჩნევს განმცხადებლის კუთვნილ ამანათად, ხოლო განმცხადებელი უარყოფს, რომ სადავო ამანათი მას ეკუთვნის, შესაბამისად არ იხდის მისი ტრანსპორტირების საფასურს, რის გამოც მოვაჭრე ხელშეკრულების 7.7.2. პუნქტის გათვალიწინებით უარს ეუბნება ყველა იმ ამანათის გადაცემაზე, რომელიც მომხმარებლის სახელზეა გადმოზიდული და რომლის ტრანპორტირების საფასაურიც მომხმარებლის მიერ უკვე დაფარულია.

იმის დასადგენად წარმოადგენს თუ არა ხელშეკრულების 7.7.2. პუნქტით გათვალიწინებული პირობა უსამართლო სტანდარტულ პირობას, უნდა შეფასდეს ეწინააღმდეგება თუ არა იგი კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპს და იწვევს თუ არა მნიშვნელოვან ეკონომიკურ დისბალანსს მომხმარებლის საზიანოდ.

საკითხის სრულად შეფასებისთვის, პირველ რიგში უნდა დადგინდეს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დადებული ამანათის გადაზიდვის ხელშეკრულების არსი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ხოლო, მეორე ნაწილის თანახმად არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი ***მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება***, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების 2.1. პუნქტის თანახმად, კომპანია, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურეობას ხოლო, მომხმარებელი, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, კომპანიას უხდის ანაზღაურებას. ხელშეკრულების 1.6. პუნქტი განსაზღვრავს იმ მომსახურების ცნებას, რომელსაც ახორციელებს მოვაჭრე, რომლის თანახმად მომსახურება არის შესაბამისი ***ანაზღაურების საფუძველზე მომხმარებლის დავალებით*** კომპანია კისრულობს თავისი სახელითა და მომხმარებლის ხარჯზე განახორციელოს მომხმარებლის ***პირად ოთახში მისული ამანათის*** საექსპედიტორო გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი.

მომხმარებელი მოვალეა გადაიხადოს მხარეებს შორის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ***შეთანხმებული პროვიზია (გადასახადი).***

აღსანიშნავია, რომ 1.7. პუნქტი ითვალიწინებს ***მომხმარებლის დავალების*** განმარტებას, რომლის თანახმად მომხმარებლის დავალება არის მომხმარებლის მიერ პირადი ანგარიშის მეშვეობით ***კონკრეტული ამანათისთვის*** გაცემული დავალება, რომლის საფუძველზეც ხორციელდება საექსპედიტორო გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი კომპანიის სახელითა და მომხმარებლის ხარჯზე. ხელშეკრულების 1.8. პუნქტი კი ადგენს, რომ ანაზღაურება (პროვიზია) არის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განსაზღვრული თანხა, რომელსაც მომხმარებელი კომპანიას უხდის განხორციელებული მომსახურეობისთვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა საყურადღებოა შემდეგი დებულებები. ხელშეკრულების 5.1. პუნქტის თანახმად ამანათის პირად ოთახში მიღების შემდეგ მომხმარებელს ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS) ამანათის მიღების შესახებ, რეგისტრაციის დროს მითითებულ მობილურის ნომერზე. 5.2 პუნქტის თანახმად, პირად ოთახში ამანათის მიღების შემდეგ მომხმარებელი ვალდებულია მოახდინოს ამანათის დეკლარირება პირადი ანგარიშის მეშვეობით. ხოლო, 5.5. პუნქტით განსაზღვრულია წესი, რომლის თანახამდ ამანათის დეკლარირებასთან ერთად მომხმარებელი გასცემს დავალებას, რომლის საფუძველზეც ხორციელდება საექსპედიტორო გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი კომპანიის სახელითა და მომხმარებლის ხარჯზე. 5.6. პუნქტის თანახმად ***ამანათის მიღებისა და დავალების გაცემის*** შემდეგ კომპანიას წარმოეშვება ვალდებულება დაიწყოს მომსახურების განხორციელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალიწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის საექსპედიტორო მომსახურების ხელშეკრულება იდება ყოველ კონკრეტულ ამანათთან დაკავშირებით. კერძოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან კონკრეტული ამანათის, კონკრეტულ დროში და კონკრეტულ ფასად გადმოზიდვაზე. ამასთან, მოვაჭრის პირობების მოთხოვნისამებრ ყოველი კონკრეტული ამანათის გადმოზიდვის შესახებ შეთანხმება მიიღწევა მას შემდეგ, რაც კონკრეტული ამანათი აისახება მომხმარებლის ე.წ პირად ოთახში და მომხმარებელი გასცემს კონკრეტულად ამ ამანათის გადმოზიდვის შესახებ დავალებას, აღნიშნული კი თავის მხრივ, იწვევს მომხმარებლისთვის მომსახურების სანაცვლო ანაზღაურების გადახდის ვალდებულების წარმოშობას.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მოვაჭრე 7.7.2. პუნქტით მომხმარებელს არ აძლევს უფლებას გაიტანოს ის ამანათები, რომლებიც ჩინეთიდან საქართველოში გადმოიზიდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე შეთანხმების ფარგლებში. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ სადავო ამანათის

გარდა ყველა სხვა ამანათის გადმოზიდვასთან დაკავშირებული ვალდებულება ორივე მხარის მიერ შესრულებულია, კერძოდ, მოვაჭრემ დათქმულ დროში შეასრულა მათ საქართველოში გადმოსაზიდად საჭირო მომსახურება, ხოლო მომხმარებელმა გადაიხადა გაწეული მომსახურების სანაცვლო ღირებულება. მიუხედავად აღნიშნულისა 7.7.2. პუნქტი სხვა, დამოუკიდებელი შეთანახმების ფარგლებში გადმოზიდული ამანათების მომხმარებლისთვის გადაცემის შესაძლებლობას უკავშირებს მომხმარებლის მიერ სადავაო ამანათის საქართველოში გადმოზიდვის საფასურის გადაუხდელობის ფაქტს. ეს დანაწესი მოვაჭრეს ფაქტობრივად ანიჭებს უფლებამოსილებას გასცდეს ერთი კონკრეტული შეთანხმების სამართლებრივ ფარგლებს და სრულიად სხვა ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება დაუკავშიროს სხვა ხელშეკრულებას, სწორედ აღნიშნულის გამო 7.7.2. პუნქტით გათვალიწინებული პირობა მთელი თავისი შინაარსით არის უსამართლო, შესაბამისად იგი ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს.

გარდა იმისა, რომ განსახილველი პირობა არის უსამართლო და ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს, ასევე, უნდა დადგინდეს იწვევს თუ არა აღნიშნული პირობა მნიშვნელოვან ეკონომიკურ დისბალანსს მომხმარებლის საზიანოდ. განსახილველი პირობის შემთხვევაში, იმის გამო, რომ მოვაჭრე უარს აცხადებს ყველა სხვა ამანათის მესაკუთრისთვის გადაცემაზე, მომხმარებელს ადგება ეკონომიკური ზიანი მოვაჭრესთან უსაფუძვლოდ დაყოვნებული ამანათების ღირებულებისა და მისი ტრანსპორტირებისთვის გადახდილი თანხის ოდენობით. ხოლო, რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ 7.7.2. პუნქტი შეიძლება წარმოადგენდეს მოვაჭრისთვის შესაძლო ფინანსური ზიანის (იგულისხმება იმ ამანათის საქართველოში ტრანსპორტირების ხარჯი, რომლის გატანაზეც უარს ამბობს მომხმარებელი და არ იხდის ტრანპორტირების საფასურს) მიყენების პრევენციას, უსაფუძვლოა, რადგან ხელშეკრულების 7.4. პუნქტის თანახმად ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მომხმარებელმა ამანათი უნდა მიიღოს, ამანათის საქართველოში ჩამოსვლიდან და კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის SMS შეტყობინების გაგზავნიდან 30 დღის განმავლობაში. ამ პუნქტით განსაზღვრული 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ მომხმარებელს ამანათი არ გადაეცემა და მომხმარებელი კარგავს უფლებას კომპანიისაგან მოითხოვოს ამანათის გადაცემა. კომპანია ამ პუნქტით განსაზღვრული 30 დღიანი ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე, რეგისტრაციის დროს მითითებულ ნომერზე, მომხმარებელს უგზავნის SMS შეტყობინებას, რომელიც შეიცავს ამანათის მიღების ბოლო ვადის შესახებ მითითებას. ხოლო, 7.6. პუნქტის თანახმად თუ შენახვის ვადა აღემატება ხელშეკრულების 7.4 პუნქტში მითითებულ ვადას კომპანია უფლებამოსილია არ გასცეს მომხმარებელზე ამანათი. შესაბამისად, ამანათი, რომლის გატანაზეც უარს ამბობს მომხმარებელი გადადის მოვაჭრის საკუთრებაში, რომლის რეალიზაციითაც,

მოვაჭრეს, სურვილის შემთხვევაში ექნება შესაძლებლობა აინაზღაუროს ის ფინანსური ზარალი, რომელიც მას მიადგა სადავო ამანათის საქართველოში ტრანსპორტირების გამო.

სწორედ აღნიშნულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი განმცხადებლის შემთხვევაშიც, კერძოდ, ***ერთი*** სადავო ამანათის საქართვლოში ჩამოტანის საფასურის გადაუხდელობის გამო, მოვაჭრე მომხმარებელს არ გადასცემს მის კუთვნილ ***რამდენიმე*** ამანათს, რომლებშიც ჯამურად მომხმარებელს გადახდილი აქვს გაცილებით მეტი თანხა, აღნიშნულის გამო განმცხადებელს ადგება გაუმართლებელი ეკონომიკური ზიანი.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცბულებების ანალიზისა და კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოვაჭრის ხელშეკრულების 7.7.2. პუნქტით გათვალისიწნებული პირობა ეწინააღმეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს და იგი იწვევს გაუმართლებელ ეკონომიკურ დისბალანსს მომხმარებლის საზიანოდ, შესაბამისად, იკვეთება მოვაჭრის მიერ კანონის 22-ე მუხლის პირველი პუქტის დარღვევის ფაქტი.

3.2. აგრესიული კომერციული საქმიანობა

კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად უსამართლო კომერციული საქმიანობა აკრძალულია. ამავე მუხლის მე-4 პუქნტით განსაზღვრულია თუ რა მიიჩნევა უსამართლო კომერციულ საქმიანობად. უსამართლო კომერციულ საქმიანობად მიიჩნევა შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობა ან ***აგრესიული კომერციული საქმიანობა***. შეცდომაში შემყვანი უსამართლო კომერციული საქმიანობა თავის მხრივ იყოფა მოქმედებით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციული საქმიანობად და უმოქმედობით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციული საქმიანობად.

კანონის 27-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად აგრესიულია კომერციული საქმიანობა, თუ მისი შინაარსი, ყველა გარემოების გათვალისწინებით, შევიწროებით, ***იძულებით,*** მათ შორის, ფიზიკური ძალის გამოყენებით ან გავლენის ბოროტად გამოყენებით, მნიშვნელოვნად ხელყოფს ან შესაძლოა ხელყოს საშუალო მომხმარებლის თავისუფალი არჩევანის უფლება ან ცვლის ან/და შესაძლოა შეცვალოს მისი ქცევა საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით, რის შედეგადაც მომხმარებელმა დადო ან შესაძლოა დადოს გარიგება, რომელსაც არ დადებდა. იგივე კრიტერიუმებს ითვალიწინებს უსამართლო კომერციული საქმიანობის შესახებ 2005/29/EC დირექტივის პრეამბულის მე-16 პუნქტი და მე-8 მუხლიც.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს იმ გარემოებებს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას აგრესიული კომერციული საქმიანობის შეფასებისას. კერძოდ, იმის დასადგენად, იყო თუ არა კომერციული საქმიანობის განხორციელებისას შევიწროება, ***იძულება,*** მათ შორის, ფიზიკური ძალის გამოყენება ან გავლენის ბოროტად გამოყენება, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები: ა) დროის მონაკვეთი, ადგილი, არსი, ხასიათი და ინტენსივობა; ბ) მუქარის შემცველი ან შეურაცხმყოფელი ენის გამოყენება ან ამგვარი ქცევა; გ) მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოსახდენად მოვაჭრის მიერ კონკრეტული უბედური შემთხვევის, სტიქიური უბედურების ან მსგავსი გარემოების ბოროტად გამოყენება, რაც მომხმარებელს ართმევს შესაძლებლობას, საღად განსაჯოს და მიიღოს გადაწყვეტილება საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით; დ) ისეთი წინააღმდეგობების ხელოვნურად შექმნა, რომლებიც ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს, რითაც მოვაჭრე ცდილობს, ხელი შეუშალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომხმარებლის უფლებების განხორციელებას, მათ შორის, მომხმარებლის უფლებისა, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან აირჩიოს სხვა საქონელი ან მომსახურება ან მოვაჭრე; ე) უკანონო მოქმედების განხორციელების ნებისმიერი მუქარა. აღნიშნული გარემოებები განმტკიცებულია 2005/29/EC დირექტივის მე-9 მუხლითაც.

ევროკომისიამ შეიმუშავა მოვაჭრის ქმედებათა ე.წ „შავი სია“ (black list), სადაც მოცემულია ის შემთხვევები, რომლებიც ნებისმირ შემთხვევაში მიიჩნევა აგრესიულ კომერციულ საქმიანობად. აღნიშნულ სიას ითვალისწინებს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტი და 2005/29/EC დირექტივის დანართი.

სააგენტო შპს „ფორსას“ ქმედების შეფასებისას მხედველობაში მიიღებს 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. აღნიშნული დანაწესის მიხედვით, ნებისმიერ შემთხვევაში უსამართლოდ მიიჩნევა და აკრძალულია შემდეგი აგრესიული კომერციული საქმიანობა: მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის ისეთი საქონლის ან მომსახურების მიწოდება, ***რომელიც მას არ შეუკვეთია, და ამისთვის საქონლის ან მომსახურების ფასის მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ გადახდის მოთხოვნა,*** ან მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მის მიერ შეკვეთილისგან განსხვავებული საქონლის ან მომსახურების მიწოდება ამ საქონლის ან მომსახურების მოვაჭრის ხარჯით, პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების შესაძლებლობის გარეშე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ 2011/83 დირექტივის პრეამბულის მე-60 პუნქტში აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინერციული გაყიდვა, რომელიც შედგება საქონლის მომხმარებლისთვის არასასურველი მიწოდებისგან ან მომსახურების მიწოდებისგან, აკრძალულია ბიზნესის მიერ მომხმარებლების მიმართ

(Business-to-consumer) განხორციელებული უსამართლო კომერციული საქმიანობის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 11 მაისის 2005/29/EC დირექტივით, მასში არ არის გათვალისწინებული სახელშეკრულებო დაცვის ღონისძიება, რომელიც ათავისუფლებს მომხმარებელს ამგვარი არასასურველი მიწოდებისა და შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებისგან. ამიტომ, მომხმარებლების ამ მიმართულებით დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სანამ უშუალოდ მოვაჭრის ქმედების შეფასებაზე გადავალთ მნიშვნელოვანია განიმარტოს „საშუალო მომხმარებელი", რადგან როგორც კანონი, ისე 2005/29/EC (UCPD) დირექტივა ამოსავალ ნიშნულად სწორედ საშუალო მომხმარებელს მიიჩნევს. ევროკავშირის რეგულაციების თანახმად, საშუალო მომხმარებელი შეფასებულია, როგორც საკმარისად კარგად ინფორმირებული და საკმარისად დაკვირვებული და წინდახედული. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ, საქმეზე ***Gut Springenheide vs Germany*** 1998 წლის 16 ივლისს, პრეცედენტული სამართლის მითითებით დაადგინა, რომ ქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას „საშუალო" მომხმარებლის სავარაუდო მოლოდინები, რომელიც გონივრულად კარგად ინფორმირებულია და გონივრული დაკვირვების შედეგად შეიძენს პროდუქტს/მომსახურებას. შემძენის ცოდნის რეალიზება პროდუქციის არჩევისას, გულისხმობს, რომ ის, როგორც წესი, მთლიანად აღიქვამს ობიექტს, ცნობს მის დიზაინს და აქვს უნარი გაეცნოს მასზე მითითებულ ინფორმაციას. იმიტომ არის მნიშვნელოვანი „საშუალო" მომხმარებლის ჰორიზონტიდან დანახული საქონელი,რომ „საშუალო" მომხმარებლის მიერ პროდუქციის შეფასება ხორციელდება თანაბარზომიერად, საქონლისა და მომსახურების დონის გათვალისწინებით. აქვე უნდა აღინიშოს, რომ საშუალო მომხმარებლის ცნება არ არის სტატისტიკური და იგი განსაზღვრული უნდა იქნას ყოველი კონკრეტულ საქმის განხილვისას საშუალო მომხმარებლის ტიპური რეაქციის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები.[14] გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ ახალი კანონი მიღებული იქნა 2022 წელს მანამდე არ არსებობდა ამ სფეროს მომწესრიგებელი სრულყოფილი კანონმდებლობა და საქართველოს მოსახლეობის ცნობიერება ამ კუთხით ამაღლებული არ არის, შესაძლოა საქართველოს მოსახლეობა მიჩნეული იქნას მოწყვლად მომხმარებლად.

როგორც გადაწყვეტილების 1.1 პუქნტში იქნა აღნიშნული სავაჭრო პლატფორმიდან www.aliExpress.com გამოიწერა რამდენიმე ნივთი და გადამზიდ კომპანიად მიუთითა შპს „ფორსა". მომხმარებლის განმარტებით, მის პირად ოთახში ჩამოსული ამანათების ველში განთავსებული იყო ის ამანათი,

[14]დირექტივა 2005/29/EC (UCPD) პრეამბულა პარ. 18

რომელიც მას არ შეუძენია პლატფორმიდან www.aliExpress.com. ამასთანავე, ეს უკანასკნელი მომხმარებელს არ დაუდეკლარირებია, რადგან იმის გამო, რომ ამანათი მას არ შეუძენია, იგი არ ფლობდა ამანათის შესახებ იმ მონაცემებს, რომელიც საჭიროა მის დასადეკლარირებლად. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სადავო ამანათი თავდაპირველად ასახული არ იყო ***გამოგზავნილი ამანათების ველში***. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს შპს „ფორსას" პირადი ოთახის შეკვეთები და საბანკო ამონაწერი.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ასევე, დგინდება, რომ მომხმარებელმა მიმართა მოვაჭრეს ამ საკითხთან დაკავშირებით და მოითხოვა მათი მხირიდან პრობლემის აღმოფხვრა. საპასუხოდ მოვაჭრემ განუცხადა, რომ თუ სადავო ამანათის ჩინეთიდან საქართველოში ტრანსპორტირების ღირებულებას (552 ლარი და 24 თეთრი) არ გადაიხდიდა, მომხმარებელი ვერ გაიტანდა სხვა ამანათებსაც, რომელიც ჩამოსული იყო საქართველოში.

იმისათვის, რომ მოვაჭრის ქმედება მიჩნეული იქნას აგრესიულ კომერციულ საქმიანობად, უნდა დადგინდეს შეუკვეთა თუ არა მომხმარებელმა სადავო ამანათის ტრანსპორტირება ჩინეთიდან საქართველოში და შესაბამისად დაიდო თუ არა მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულება. ხელშეკრულების დადების/არდადების ფაქტის შეფასებაზე გადასვლამდე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ის გარემოება, რომ ევროკავშირის კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულების დადებად „ინერციული გაყიდვების" დროს. შესაბამისად, ხელშეკრულების დადების ფაქტის შეფასება მთლიანად არის დამოკიდებული კონკრეტული სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობაზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე ***Stichting Waternet v MG*** [15]. სასამართლომ განმარტა, რომ რადგან არც CRD და არც UCPD დირექტივები არ არეგულირებს ხელშეკრულებების ფორმირებას, ეროვნულმა სასამართლოებმა/შესაბამისმა ორგანოებმა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უნდა შეაფასონ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულების დადებად.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების 3.1 ქვეთავში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის, 327-ე მუხლისა და მოვაჭრის ხელშეკრულების ანალიზის საფუძვლზე დადგინდა, იმისათვის, რომ მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალოს და კომპანიას წარმოეშვას გადაზიდვის მომსახურების დაწყების ვალდებულება, აუცილებელია,

[15] Case C-922/19, Stichting Waternet v MG, ob: https://curia.europa.eu/juris/liste.jsf?lgrec=fr&td=%3BALL&language=en&num=C-922/19&jur=C

მომხარებელმა, ამანათის მოვაჭრის საზღვარგარეთ მდებარე საწყობში მისვლის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღების შემდგომ, დაადეკლარიროს ამანათი და გასცეს შესაბამისი დავალება. აქ, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სააგენტოს მიერ მოვაჭრისგან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა მოქმედების განხორციელებას გულისხმობს მომხმარებლის მიერ დავალების გაცემა, თუმცა მოვაჭრეს აღნიშნულის შესახებ განმარტება არ წარმოუდგენია.

განსახილველ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელს არ დაუდეკლარირებია ამანათი და არ გაუცია მისი საქართველოში ტრანსპორტირების დავალება, დგინდება, რომ მომხმარებელს არ შეუკვეთავს ის მომსახურება, რომლის საფასურის გადახდასაც აიძულებს მოვაჭრე და გადაუხდელობის შემთხვევაში ემუქრება მის ქონებაზე (იგულისხმება ის სხვა ამანათები, რომლის ტრანსპორტირების საფასური მომხმარებელს გადახდილი აქვს და მოვაჭრე არ ატანს) საკუთრების უფლების დაკარგვით.

ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის დისპოზიციის ურთიერთანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ადგილი აქვს მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის ისეთი მომსახურების მიწოდებას, ***რომელიც მას არ შეუკვეთია და ამისთვის მომსახურების ფასის მთლიანად გადახდის მოთხოვნას ანუ*** **ე.წ „ინერციულ გაყიდვას“ (inertia selling).**

აქვე, ყურადღება უნდა გამახვილდეს **„ინერციულ გაყიდვის“** ფაქტის დადგენის შემდგომ სამართლებრივ მდგომარეობაზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე ***Stichting Waternet v MG,*** სადაც აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც დადგინდება მოვაჭრის მხრიდან მომსახურების **„ინერციული გაყიდვის“** ფაქტი, მომხმარებელი თავისუფლდება ყველანაირი ანაზღაურების ვალდებულებისაგან და ასეთ შემთხვევებში „მომხმარებლის პასუხის არარსებობა ... არ წარმოადგენს თანხმობას“.[16]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიაჩნია, რომ ამდენად, საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შეფასების შედეგად, სააგენტოს შეფასებით, ადგილი აქვს შპს „ფორსას“ მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ დარღვევას.

[16] Case C-922/19, *Waternet*, 3 თებერვალი 2021. იხ. https://curia.europa.eu/juris/liste.jsf?lgrec=fr&td=%3BALL&language=en&num=C-922/19&jur=C

თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სააგენტომ:

გადაწყვიტა:

დადასტურდეს შპს „ფორსას“ (ს/ნ 405324108) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.